# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 13ა. კვირა, 27 ივლისი 1903 წ. გაზეთის № 2219.

**3 მანეთი ღირს ყოველ დღიური გაზეთი ცნობის ფურცელი კვირაში ორის სურათებიანის დამატებით, 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე.**



ახალი პაპი პიო X.

### ნუ, ნუ იცინი...

ნუ, ნუ იცინი... ნუ გგონია, რომ მაგ სიცილით
შენდამი ტრფობას და სიყვარულს გამიორკეცებ
და დაკნინებულს მაგ მომხიბვლელ, წარმტაც ღიმილით
გულს გამიხარებ და კაეშანს გამიცამტვერებ.

**

იწვით შეპყრობილს, გულ-გატეხილს, რწმენა დაკარგულს,
უიმედობით გარემოცულს და შემსჭვალულსა,
მწარე ხვედრისგან იმ თავითვე არ ერთხელ დასჯილს,
სულით ობოლს და მარტოობას მარად ჩვეულსა

**

ვერრას მიშველი: შენ არ ძალ-გიძს ოდნავ გამართო,
შენ ვერ მიხვდები, ვერც მისწვდები, თუ მე რა მიმძიმს,
და სევდიანი რად ვეძლევი მწარე ფიქრებსა,
როცა შევყურებ მაგ შენს ბავშურს, უაზრო ღიმილს...

**

ოჰ, რომ იცოდე, როგორ გშვენის, როცა ღრუბელი
მძიმე კაეშნის, დარდ-ვარამის შუბლს გადგეგვრება
და მაგ ლმობიერ, ცით მოგზავნილ დიდრონ თვალებში,
რის კრთომას იწყებს მწარე სევდა და მწუხარება!

**

რის მწვავე გრძნობით გულ-შემსჭვალულ გარემოცული
მწარე ღიმილით სადღაც შორს, შორს გაიყურები
და ნაღვლიანი, ვით სიმბოლო ქვეყნიურ ტანჯვის,
სდუმ და მდუმარებ, ვით საფლავში მდებარე მკვდრები...

**

მაშინ შორიდან რა შეგყურებ, ვიგონებ მოძმეს,
ჩემსავე მოძმეს, შენებრ დასჯილს, დაკნინებულსა,
როგორც შენ, მასაც ტანჯვის ქსელში ძალზე გახლართულს,
მძლავრთ უკმეხობით პატივ ახდილს, დადუმებულსა...

**

მაშინ... ოჰ, მაშინ გწამდეს მზად ვარ, რომ ფიანდაზად
ფეხ ქვეშ დაგეგო, დაგანაცვლო სული და გული
და მსურს წინაშე მთელის ქვეყნის რომ ვაღიარო
შენდამი ტრფობა სიკვდილამდე და სიყვარული!..

**

მაშ ნუ იცინი, ნუ გგონია, რომ მაგ სიცილით
შენდამი ტრფობას და სიყვარულს გამიორკეცებ
და დაკნინებულს მაგ მომხიბვლელ, წარმტაც ღიმილით
გულს გამიხარებ და კაეშანს გამიცამტვერებ ..

ლადო ახობაძე.

### სიმღერა.

I

ველად დაჰქრის ნიავი,
ხეს ერხევა ფოთოლი;
ზვირთი ზვირთსა გადასდევს,
ლურჯი აკრავს ცას ზოლი.
სევდა-ჭირის ცრემლს აფრქვევს
მიდამო არე-მარე;
ირგვლივ გამეფებულა
გლოვა და სიმწუხარე.
რადას ელი, მგოსანო,
ხელთ აიღე კალამი
და ხალხისა ჭირ-ვარამს
კვნესით მიე სალამი!..

II

ნიავი ჰქრის, ბუნება
შეუპყრია ლხენასა;
ადიდებენ ძალთა-ძალს,
უგალობენ ზენასა.
ნეტარების ცრემლს აფრქვევს,
მიდამო არე-მარე,
ირგვლივ გამეფებულა
სიმშვიდე და სიწყნარე.
რადას ელი, მგოსანო,
ხელთ აიღე კალამი
და ხალხისა სიხარულს
მშვიდად მიე სალამი!

ბ. ახოს-შირელი.

# უკვდავების წყარო

ლეგენდა, რუსულიდან

აღმოსავლეთის მეფეთა შორის ყველაზე ბედნიერი და მდიდარი მეფე სოლომონი იყო. მეფე სოლომონ უხვად დაეჯილდოვებინა ღმერთს და შეემკო ყოველივე იმით, რაც კი ქვეყანაზე კაცის თვალის მომხიბვლელია. იმისი სასახლეები, ნახატის კედლებით, ოქროს სახურავით, სპილოს ძვლიან და ძვირფას თვლიან ჭერითა და მოოქროვებულ სვეტებით განსაცვიფრებელის სილამაზით ბრწყინავდა. იმის ბაღებში განუწყვეტლივ შხუოდა შადრევნები; ძვირფასს ვარდ-ყვავილების სურნელება შორს მოჰფენოდა არე მარეს. იმის სასახლის ოთახები სავსე იყო ზურმუხტ-ლალით, ვალ-მარგალიტით, ოქროვერცხლით და ძვირფას ნოხ-ფარდაგ-ხალით. სოლომონს ჰყავდა ერთგული, მტერთა თავ-ზარ დამცემი, ძლიერი ჯარი. ყველა ზღვაში დაცურავდა იმისი ძვირფას საქონლით ნავები. იმის ცხენებს, მოსამსახურეებს და მრავალ სხვა ქონებას ვერავინ ითვლიდა. იმისი ცოლები უსიტყვოდ უყურებდნენ თვალებში და უსიტყვოდვე ემორჩილებოდნენ.

აი, ამისთანა სიმდიდრითა და ბედნიერებით იყო შემკული მეფე სოლომონ. მაგრამ მეფეს ყველა ეს არ ახარებდა. ხშირად ჩაფიქრებული დადიოდა. არ ახარებდა არც მხიარული სადილები და არც ცოლების სიყვარულის გამომხატველი თვალები. ყოველივეს მკაცრ გამომეტყველებით უყურებდა. ხშირად იმისი მოწყენილი თვალები უძრავად მიაშტერდებოდნენ კედლებს, თითქო ვისმეს განაჩენს უკითხავს, ან თითქო ეს თვალები ჰგრძნობენ რაღაც უბედურების მოახლოვებასო.

— მე ძლიერი, მდიდარი და ბედნიერი ვარ, — იტყოდა ხოლმე თავისთვის ხანდისხან სოლომონ: — დღენი ჩემნი მხიარულებაში მირბიან, მაგრამ მაინც არა ვარ კმაყოფილი ჩემის ბედისა. გავლენ წელნი და მოახლოვდება სიკვდილი, რომელიც მომაშორებს ყოველსავე იმას, რასაც დღეს ხალხი ჩემს ბედნიერებად და დიდებად სთვლის. ყველაფერს წამართმევს სიკვდილი. ჩემს სასახლეებს, ოქროვერცხლს, ჩემს ცოლებს, ბაღებს, შადრევნებს, ჩემს ერთგულსა და ძლიერს ჯარს, ყველაფერს ერთის წამის განმავლობაში მომაშორებს სიკვდილი. არც შემეძლება წავიღო რამ. ჩავალ საფლავში, ღარიბი, გაჭირვებული. ყოველივე ეს ეხლა ძლიერ მაშინებს. არ არის ჩემთვის მხიარულება, ღამე ძილი არ მეკარება და დღის სინათლე არ ახარებს ჩემს თვალებს.

ასე ამბობდა ხშირად თავისთვის სოლომონ და, წინასწარ შიშით შეწუხებული და შეშინებული, სწყევლიდა სიკვდილს.

ერთ დღეს სოლომონმა გადასწყვიტა, მკითხავი მოეწვია, და გაეგო მკითხავისაგან ისეთი წამალი, რომ თავი დაეხსნა სიკვდილის კლანჭებისაგან და საუკუნოდ ეცხოვრა ქვეყანაზე.

— შენ გინდა, დიდებულო მბრძანებელო, საუკუნოდ იცოცხლო? — ჰკითხა სოლომონს მკითხავმა. — არის ერთადერთი საშუალება შენის სურვილის განხორციელებისა: მთებში და კლდეების გულში და გამოქვაბულებში ხარობს უკვდავების ბალახი, რომელიც კაცის თვალის უხილავად იზრდება. ვინც იმ ბალახს შეიძენს, სიკვდილი ვერას დააკლებს და საუკუნოდ იცხოვრებს ქვეყანაზე. აი, წაიღე ეს ჩემი ბეჭედი და



გააჯავრეს. — სურათი ლოუტისა.

თამამად გაემგზავრე იმ ბალახის საპოვნელად. ამ ბეჭდით, რომელ მთას ანუ კლდესაც შეეხები, გაიხსნება. ყველაფერს დაინახავ, რაც მთისა და კლდის გულშია დამარხული. ეძებე, შემოიარე მთელი შენი სამეფო, უსათუოდ იპოვნი იმ ბალახს და მაშინ მოეღება ბოლო შენს მწუხარებასა და შიშს.

ამ რჩევით ძლიერ გახარებული სოლომონ ორიოდე ერთგულ მსახურით გაემგზავრა უკვდავების ბალახის საძებნელად. მრავალი წელი გავიდა და სოლომონ კიდევ მოგზაურობაში იყო. ბეჭდის ძალით იღლვებოდა მთები და კლდეები. სოლომონ ხარბის თვალით დაეძებდა უკვდავების ბალახს. ერთ ცხიან დღეს სოლომონი მსახურებით მიადგა უზარ-მაზარ

კლდე . გაისმა საშინელი ხმაურობა, მიწა იძრა, დაიკლაკნა როგორც გველი, ქვის ლოდები საშინელის ხმაურობით გადმოგორდა. ეს ქვები ერთმანეთს ჰხვდებოდა, იმსხვრეოდა და იფანტებოდა.

ბოლოს კლდეში გამოჩნდა დიდი და ბნელი გამოქვაბული. დაიმედებულმა სოლომონმა შეიხედა გამოქვაბულში და არც მოსტყუვდა: იგრძნო ბალახის სასიამოვნო სუნი. სოლომონი შევიდა გამოქვაბულში და დაინახა, რომ იატაკი მოფენილი იყო ხავერდივით მწვანე ბალახით. მეფის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ალტაცებით დაიხარა და ის იყო უნდა მოეგლიჯა ბალახი, რომ გაშეშდა: ნახევრად ბნელ გამოქვაბულში დაინახა რაღაც თეთრი მოჩვენება, გრძელ წვერიანი მოხუცი, თითქმის უსულო, რომელსაც გამხდარ ხელში მაგრად ეჭირა პატარა კონა უკვდავების ბალახისა.

— ნუ თუ აქ ხალხი სცხოვრობს? დაიყვირა სოლომონმა.

— აქ ხალხი იყო, —უპასუხა მოხუცმა და საშინელი კვნესა ამოხდა გულიდან:—მეც შენისთანა კაცი ვიყავ, მეც შენსავით ძლიერი და შეძლებული მეფე ვიყავ...

— რასაც მე დიდი ხანია დავეძებ, ის შენ ხელშია!— წამოიძახა სიხარულით სოლომონმა:—ეხლა შემეძლება საუკუნოდ ვიცოცხლო, დავსტკბე ჩემის სიმდიდრით და ბევრი სხვაც შევიძინო.

— შენ ისე იცხოვრებ, როგორც მე ეხლა ვცხოვრობ!— უთხრა მოხუცმა სოლომონს.—მეც შენსავით წამოვედი უკვდავების ბალახის საძებნელად და აქ, ამ გამოქვაბულში, ვიპოვნე, როგორც ეხლა შენ. სიხარულით გავსწიე ჩემს სამეფოში იმ იმედით, რომ საუკუნოდ ვიცოცხლებდი და დიდხანსაც ვიცოცხლე. მაგრამ შემდეგ ისევ ამ გამოქვაბულისკენ გამოვიქეცი, რომ მომეშორებინა თავიდან სიცოცხლე, წყარო ყოველსავე სიბილწისა და სიავისა, და მენახა სასურველი მოსვენება კუბოში. აი, აქ თან მოვიტანე დაწყევლილი ბალახიც, მინდოდა, რომ მომკვდარვიყავ, მაგრამ მე კიდევ ცოცხალი ვარ და ვსწყევლი ცხოვრების მძიმე ტვირთს. როდესაც აქ დაღალულ-დაქანცული მოვედი, მინდოდა და მზად ვიყავ წყევაკრულივით გადამეგდო საზიზღარი ბალახი... მოვიღალე საუკუნო სიცოცხლით, უკვდავება წვალებაა ჩემთვის, მინდოდა გამეწყვი-



ნებიერი.—სურათი ალმა-ტადებისა

ტა ძაფი სიცოცხლისა და ყოველ წამს ველოდებოდი სიკვდილს. ვუცდიდი, მაგრამ ეს საშინელი ბალახი ხელიდან ვერ მოვიშორე. ამ გვარად მრავალი წელი გავიდა და მე კი ვიყავ გაშეშებული, ღონე მიხდილი. ხელი ჩემი დადუმდა, არ შემეძლო თითები გამეხსნა და თავიდან მომეშორებინა ბალახი, და კიდევ მრავალი საუკუნე გავიდა და მე ასე ვიყავ.

დღითი-დღე ყველაფერი იცვლებოდა: ხეებიც, მთებიც, კლდეებიც და მდინარეებიც. ჩემდა შეუმჩნევლად გამოქვაბულის კედლები ერთდებოდნენ, ბოლოს შეერთდნენ და ამ რიგად მოვცილდი ქვეყნიერებას. ტყუილად ვინატრე ერთ დროს საუკუნოდ ცხოვრება. ვერ შევძელ. გამოიცვალა ჩემი სული და აგებულობა. დამეკარგა სიმკვირცხლე, ძალა და მისწრაფება. როცა გავიგე, რომ სიცოცხლის სიტკბოებაც მოსაწყენი ყოფილა, როცა გავიგე, რომ სხეულს საფლავი ეჭირვება, საშინელ წვალებაში ჩავვარდი. ეხლა გთხოვ, ბრძენო სოლომონ, ბოლო მოუღო ჩემს ტანჯვას: გამომგლიჯე ხელიდან ეს საშინელი ბალახი, ბალახი, რომელმაც ამდენი ტანჯვა და მწუხარება მაგემა, ან და მომჭერ ბალახიანად ხელი, რომ მომშორდეს მწუხარება.

სთქვა ეს მოხუცმა და საშინელი კვნესა დაიწყო. სოლომონმა გაუხსნა მოხუცს თითები, სწრაფად ამოართვა უკვდავების ბალახი, შორს გადისროლა და შეშინებული გამოვარდა გამოქვაბულიდან. იმ წამსვე მოხუცის სული განშორდა სხეულს... ამის შემდეგ მიწა უცბად ხელ ახლა იძრა, გამოქვაბული დაიხურა. სოლომონ დაბრუნდა თავის სამეფოში და ნახულისა და გაგონილის შემდეგ უშიშრად მოელოდა სიკვდილს.

დესპინეშვილი.

## სხვა-და-სხვა ამბავი

**უდიდესი ქალაქი 1950 წელს.** ბავშვმაც-კი იცის, რომ დღეს მთელ დედამიწაზე უდიდეს ქალაქად ლონდონი ითვლება. ამე[illegible] პროფესორი ფ. გიდდინგსი სწერს, ამერიკამ ყველაფერში გაუსწრო ევროპას და არ გავა 47 წელიწადი, რომ ამ საქმეშიაც გაუსწრობს, ე. ი. უდიდესი ქალაქი ამერიკაში იქნება. ამ პროფესორს დაუკვლია და დაწვრილებით დაუთვალიერებია ის ადგილები, რომელიც ნიუ-იორკსა, ბოსტონსა და ბალტიმორს შუა მდებარეობს. სულ ეს ადგილი დაახლოვებით 700 ვერსს უდრის. შუაში ბევრი პატარა ქალ[აქი] შენებული. ეს ქალაქები იზრდებიან, ფართოვდებიან, ბოლ[...]

საქმე, რომ ერთმანეთს გადაებმებიან ნიუ-იორკ—ბალტიმორ-ტონს შეუერთდებიან. ზემოხსენებულ პროფესორს გამოუანგარი- რომ ასეთი შეერთება მოხდება 47 წლის შემდეგ, 1950 წელს უზარმაზარ ქალაქში 60 მილიონი მცხოვრები იქმნება. პროფე- ამ არა ჩვეულებრივ ქალაქის გეგმაც კი დაუხატია.

—

მსწავლული უსინათლო. ეხლა ხან ბერლინის უნივერსიტეტში ფილოსოფიის დოქტორის სახელის მისაღებად ეგზამენი დაიჭირა ერთმა უსინათლომ, გვარად ლიუდვიგ კონმა. კონი ათის წლისა იყო როდესაც მხედველობა დაჰკარგა. ამის მიუხედავად, მუყაითად სწავლობდა და გიმნაზია გაათავა. შემდეგ ლეიპციგის უნივერსიტეტში შევიდა, სადაც ორ წელიწადს პოლიტიკურ ეკონომიას სწავლობდა. იქიდან ბერლინის უნივერსიტეტში გადავიდა. კონს ყველაფერს უკითხავდნენ, შემდეგ ამ წაკითხულს სწერდა ამობურცული ასოებით და სწავლობდა. „რა მხნე კაციაო“, წამოუძახნიათ ეგზამინატორებს.




ტფილისის ქუჩები ზაფხულის ქარში.




ახალი მანქანა ტფილისელებისათვის, რომ მტვერმა ფილტვებზე ...ქმედოს.



პროფესორი. ოო, მაგ უბედურებმა არ იციან რა ნაირად სწამლავს ერთმანეთს მაგისთანა კოცნით! ნერწყვში შხამია, შხამი

კუპიდონი. (პროფესორს ყურში)—მგონია, პროფესორო, არც შენ იტყოდი, უარს მაგისთანა „შხამიან საწამლავზე!“

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი